ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5721499

ნომერი: AR1865074

თარიღი : 09.12.2021

გაცემის თარიღი : 10.12.2021

გაცნობის თარიღი : 10.12.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 14;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ია ჩეხერია პ/ნ 01017025224
- შევჩენკოს #5

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- ვადაგასული
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გიორგი ჩხეტია
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს სითი ლოფტი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404909934

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს სითი ლოფტი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404909934
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ივანე თარხნიშვილი

- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01018000243

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : № 2788759
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 19.08.2016

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2021 წლის 09 დეკემბრის AR1865074 განცხადება.

პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის მიერ 08.10.2019 წლის № 4684339 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი – მთაწმინდა), კოსტავას ქ. N14–ში, შპს ,,სითი ლოფტი"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის რეკონსტრუქციის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. კორექტირებული პროექტის საფუძველზე სამსახურის მიერ მშენებლობის ნებართვა გაცემული არ არის.

შესაბამისად, თქვენ მიერ განცხადების დარეგისტრირებისას არასწორად მოხდა ნომენკლატურის შერჩევა. საჭიროა განცხადება და საპროექტო დოკუმენტაცია ატვირთული იქნეს შემდეგ ნომენკლატურაში: ელექტრონული განცხადებები>ორი ან მეტი ფუნციის ობიექტები>მრავალფუნქციური შენობა/კომპლექსი>ქმედებები: შეთანხმებული პროექტის ცვლილება >სტადიები: მშენებლობის ნებართვა. ამასთან, როგორც წარმოდგენილი მასალით დგინდება გარკვეული სამშენებლო სამუშაოები ნაწარმოებია მშენებლობის ნებართვის ვადის მოქმედების გასვლის შემდგომ, აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოდგენილი იქნას მუნიციპალური ინსპექციის დადგენილება და შესაბამისი ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, ასევე მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი.

ასევე გაითვალისწინეთ: იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოები ნაწარმოებია 08.10.2019 წლის № 4684339 ბრძანებით შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაციის დარღვევით, საჭიროა სამსახურს მომართოთ შეთანხმებული პროექტის ცვლილების მოთხოვნით, წარმოადგინოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ისპექციის მიერ გაცემული აქტი და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ჯარიმის გადახდის ქვითარი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე ნომენკლატურით სამსახური მოკლებულია საკითხზე მსჯელობის შესაძლებლობას. სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამის ნომენკლატურაში ატვირთვის შემდგომ.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.